



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 71

„22“ ნოემბერი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
გამგებლისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „თ“ პუნქტის და ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან მუნიციპალიტეტის სახელით აიღოს სესხი ს.ს.ი.პ. - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 563 742 ლარის ოდენობით (209 313 ევრო) ნაგავმზიდი მანქანების და სანაგვე ურნების შესაძენად.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature

პაატა გიორგობიანი